ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 9

"30" იანვარი 2026 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა №5-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.004.501) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სავარასთვის" (ს/ნ. 405798793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა №5-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.004.501) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სავარასთვის" (ს/ნ. 405798793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 22 იანვრის №26.53.70 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა №5-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.004.501) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სავარასთვის" (ს/ნ. 405798793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1920 (ათას ცხრაას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე